

მხარეთა წების განმარტება შედარებით სამართლებრივი ანალიზი

(გერმანული, ინგლისური, უნიფიცირებული აქტების მიხედვით)

გვანცა თოდაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამართლის ფაკულტეტზე კერძო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ანდლულაძე

სამართლის დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

ადამიანის განსაკუთრებით მნიშვნელოვან უფლებას წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, გამომდინარე აქედან, დიდი მნიშვნელობა აქვს ნების გამოვლენის თავისუფლებას, განსაკუთრებით კი სამართლებრივ ურთიერთობებში. პირს უფლება აქვს სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდეს მსგავს ურთიერთობებში. ყოველივე ეს ხდება ნების გამოვლენით, სამართლებრივი შედეგი ამით მიიღწევა. მხარეები შინაგანი ნების გარეგანი გამოხატვით ცდილობენ მიაღწიონ მათთვის სასურველ მიზანს, მაგრამ შესაძლებელია ხელშეკრულების დადების დროს მხარის მიერ გამოხატული ნება და მისი შინაგანი სურვილი არ იყოს ურთიერთთანხვედრი, ამ შემთხვევაში წარმოიშობა შინაგანი ნებისა და გამოხატული ნების განმარტების საკითხი. განმარტებისას უნდა დადგინდეს ნამდვილი ნება, ასევე მხარეთა უფლებები და ვალდებულებები. ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს დასარეგულირებელი თუ არსებობს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა განსხვავებული პოზიციები, მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებით. ნაშროში წარმოდგენილია მხარეთა ნების განმარტებასთან დაკავშირებული რეგულაციები, ქართულ, გერმანულ და ინგლისურ სამართალში. ზოგადი მიმოხილვის სახით წარმოდგენილია მხარეთა ნების განმარტების საკითხი უნიფიცირებულ აქტებში, რომლებსაც დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. შედარებითი ანალიზის მეშვეობით უკეთ გამოჩდება ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები.

Abstrac

Right to the free development of personality is especially important human right, therefore freedom of expression is of great importance, especially in legal relations. A person has the right to take part in various forms of such relations. All of this happens in the will, Legal result will be achieved through it. The parties, through external expression of internal will, try to achieve the desired goal, but it is possible that at the conclusion of the agreement the will expressed by the party and its inner desire are not coincident, in this case the question of interpretation of inner desire and will expressed occurs. The real will and parties' rights and obligations shall be established in the interpretation. The possibility of determining the content of the agreements could become regulated if there are different positions of the participants of specific legal relationship in respect of their obligations. The paper presents the regulations associated with the interpretation of the will of the parties in Georgian, German and English Law. The paper provides general review of the question of interpretation of the parties' will in unified acts, which are of particular importance under conditions of globalization. Through comparative analysis the gaps in the national legislation can be better demonstrated.